ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №40

16 სექტემბერი, 2024 წელი
10:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი:*№04-032425426-03*; 10.09.2024)** ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

მომხსენებელი: ევა აჰარონიანი

თანამდებობა: საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს კონსული

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**
კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული

სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, ერვანდ ქოჩარი დაიბადა და 1922 წლამდე ცხოვრობდა თბილისში. მოგონებებში ის ყოველთვის დიდი სითბოთი ხაზს უსვამდა თავის ხელოვნებაში არსებულ ქართულ ელემენტსა და ურყევ კავშირს თბილისთან, ქართველ ხალხთან. ის ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ცნობილია რომ ჯერ კიდევ 1974 წელს, თბილისში გახსნილი ინდივიდუალური გამოფენის დღეებშიც კი ქოჩარმა უარი თქვა ძვირადღირებულ და კომფორტულ სასტუმროში ცხოვრებაზე, ამჯობინა ცხოვრება საკუთარ სახლში - პუშკინის №13-ში, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობდნენ მისი ოჯახის წევრები. ერვანდ ქოჩარს მის დაბადების ადგილთან - თბილისთან, ახლობლებთან და ქართველ კოლეგებთან განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა. დღემდე ერევნის ერვანდ ქოჩარის სახლ-მუზეუმში ინახება მის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ქანდაკება და ასევე თბილი მიმოწერა ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, დავით კაკაბაძესთან და ა.შ. 1921 წელს ერვანდ სიმონის-ძე ქოჩარიანს მიენიჭა მანდატი, რომლის მიხედვითაც მას, როგორც პროფესიონალ ხელოვანს, მიეცა უფლება ჰქონოდა ცალკე ოთახი-სახელოსნო. ამ ნებართვის საფუძველზე მას პირადად გადაეცა ოთახი ქ. თბილისის, პუშკინის №13-ში.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს კონსულს ევა აჰარონიანს, რომელიც მიესალმა კომისიის წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს ელჩის აშოტ სმბატიანის სახელით. ასევე, მადლიერება გამოხატა იმისთვის, რომ შესაძლებლობა მიეცა იმყოფებოდეს წარმოდგენილ სხდომაზე. ხაზი გაუსხვა განსახილველი საკითხის მნიშვნელობასა და ქართველი და სომეხი ხალხის მჭიდრო კავშირზე. ევა აჰარონიანის განმარტებით, ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსება იქნება დიდი კულტურული შინაარსის მატარებელი თბილისისთვის. წელს ერვანდ ქოჩარის დაბადებიდან 125 წელი შესრულდა და მემორიალური დაფის განთავსება იქნება არამხოლოდ მისი სიდიადის გამოხატულება, არამედ, სომხურ-ქართული მეგობრობის კიდევ ერთი მჭერმეტყველი მოწმე გახდება განაცხადა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს კონსულმა, ევა აჰარონიანმა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ზურაბ ჩიკვილაძემ, ნათია მოდებაძემ.

ზურაბ ჩიკვილაძის განცხადებით, იგი წარმოადგენდა საქართველოს სომხეთის რესპუბლიკაში. ძალიან ღრმა და დიდი ისტორია გააჩნია ქართულ და სომხურ ერს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბევრი სომეხი მოღვაწე დაიბადა და გაიზარდა თბილისში და სასიხარულოა მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა.

ნათია მოდებაძემ ხაზი გაუსვა ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობას და განაცხადა, რომ პატივია მისი ამ პროცესში მონაწილეობა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ერვანდ ქოჩარის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე